JMG & Partners

ჯორბენაძე | მაჭარაძე | გეგენავა | გაწერელია | ბახტაძე

საქართველოს პროკურატურის საპროკურორო
საბჭოს თავმჯდომარეს,

**ქალბატონ ნანა ხუნჯუას**

შპს „ჯეი ემ ჯი და პარტნიორების"
მმართველი პარტნიორების:
აკაკი გაწერელიასა და სერგი ჯორბენაძის

# წარდგინება (განაცხადი)

*(საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად ბატონი ვალერიან ვაჭარაძის დარეგისტრირების შესახებ)*

ქალბატონო ნანა,

იურიდიული კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორები" (ს/კ 405188942) საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოგიდგენთ ბატონ ვალერიან ვაჭარაძეს (დაბ. 12.04.1979, პ/ნ 18001004924). ბატონ ვალერიანთან საქმიანი ურთიერთობა დავიწყეთ 2017 წლის სექტემბერში. იგი ჩვენს კომპანიაში მუშაობდა ადვოკატად სისხლის სამართლის განხრით.

ბატონ ვალერიანთან მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა მისი მაღალი კვალიფიკაცია. აღსანიშნავია მისი პიროვნული და პროფესიული უნარები. ერთი მხრივ, ბატონი ვალერიანი მაღალი პროფესიონალიზმით უძღვებოდა საქმეებს,

01/13-37-5
15. 01. 2020 წ.

ხოლო, მეორე მხრივ, იგი ჰარმონიულად თანამშრომლობდა ჩვენი კომპანიის სხვა წევრებთან / ადვოკატებთან. შესაბამისად, მასთან ერთად მივიღეთ დიდი გამოცდილება სისხლის სამართლის კუთხით საქმეთა განხილვის საკითხებთან მიმართებით. ამდენად, მიგვაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩენთვის ცნობილია, რომ ბატონმა ვალერიანმა თავისი პროფესიული განვითარება სწორედ საქართველოს პროკურატურაში დაიწყო და საკმაოდ წარმატებული პროკურორი იყო (ვადამდე აქვს მინიჭებული სახელმწიფო სპეციალური წოდება) და მისთვის კარგად არის ცნობილი პროკურატურის სისტემა. პროკურატურაში საქმიანობის დროს ბატონ ვალერიანს დაუგროვდა მდიდარი პროფესიული გამოცდილება (რომელიც მას გამოადგა ადვოკატად ჩვენს კომპანიაში მუშაობისას). მას ასევე აქვს ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება, როდესაც ის უძღვებოდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს იმერეთის ბიუროს. გარდა იმისა, რომ ბატონი ვალერიანი არის პროფესიონალი, ის ასევე გახლავთ მაღალი ზნეობის და ხელმძღვანელის თვისებების მქონე ადამიანი. დარწმუნებულები ვართ, მისი არჩევის შემთხვევაში, იგი ღირსეულად შეძლებს საქართველოს პროკურატურის გაძღოლას.

გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, ბატონი ვალერიანი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა აკადემიურ ღონისძიებაში. იგი ესწრებოდა ტრენინგებსა თუ ცალკეულ სალექციო კურსებს (მათ შორის, საუნივერსიტეტო დონეზე). სწორედ ბატონი ვალერიანის აკადემიური გამოცდილების შედეგად ჩამოუყალიბდა ჩვენს კომპანიას ხედვა სისხლის სამართლის მიმართულებით სამართლებრივი რისკების შეფასების თაობაზე. კერძოდ, მისი ჩართულობისა და მის მიერ სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, ჩვენმა კომპანიამ შეითავსა ფუნქცია, სამართლებრივ დასკვნებში (რომლებიც უმეტესად ბიზნესს ეხება) აღწეროს სისხლისსამართლებრივი საკითხები და ის წინაპირობები, თუ რა

შედეგები (დანაშაულის ჩადენა და სასჯელის შეფარდება) მოჰყვება პირის მიერ ცალკეულ ქმედებას თუ უმოქმედობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ ბატონ ვალერიან ვაჭარაძეს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე და ღრმად გვწამს, რომ იგი პირნათლად, პროფესიონალურად და განსაკუთრებულად წარმატებით წარუძღვება თავის საქმეებს.

პატივისცემით,

/______________________/

აკაკი გაწერელია, LL.M., MA

მმართველი პარტნიორი, ადვოკატი

/______________________/

ასოც. პროფესორი, დოქტ. სერგი ჯორბენაძე, Ph.D., LL.M.

გენერალური დირექტორი, მმართველი პარტნიორი, ადვოკატი

*14 იანვარი, 2020 წ.*

ელ. ფოსტა: gatserelia@jmg.ge / jorbenadze@jmg.ge

მობილური: +995 595 33 20 70 / +995 599 79 23 22



# ვალერიან ვაჭარაძე


<u>საცხოვრებელი მისამართი:</u> საქართველო, თბილისი, თემქის IV კვ. I კორპ. ბინა 17

(რეგისტრაციის მისამართი – თბილისი, თემქის IV კვ. I კორპ. ბინა 17)

<u>ტელ:</u> (32) 2607329; მობ : +995 595 311 979

<u>საფოსტო მისამართი</u> : valerianvacharadze@yahoo.com


## პირადი მონაცემები

| | |
|---|---|
| დაბადების თარიღი/ადგილი | 12 /04/1979, წყალტუბო, საქართველო |
| ეროვნება /მოქალაქეობა | ქართველი/საქართველო |
| ოჯახური მდგომარეობა | დაოჯახებული |

## განათლება

| | |
|---|---|
| 1997-2002 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ–ტექნიკური ფაკულტეტი, კვალიფიკაცია-იურისტი,სპეციალობა-სამართალმცოდნე |
| 1985-1996 | ზესტაფონის №5 საშუალო სკოლა |

## გამოცდილება

| | |
|---|---|
| 2019-დღემდე | შპს „თბილისი ენერჯის" მონიტორინგის დეპარტამენტის, კონტროლის სამსახურის მთავარი ინსპექტორი |
| 2018 | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს იმერეთის პრობაციის ბიუროს უფროსი |
| 2017-2018 | იურიდიული კომპანიის „JMG&Partners" ადვოკატი, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით |
| 2017 | საქართველოს მთავარი პროკურატურის ქთბილისის პროკურატურის, ვაკე საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორი |
| 2006-2017 | ს.ს „საქართველოს ბანკის" პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტის პრობლემური სესხების მენეჯერი |

| | |
|---|---|
| 2002-2006 | საქართველოს გენერალური პროკურატურა |
| | საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის ფინანსთა სამინისტროს ავტონომიურ და სამხარეო ქვედანაყოფებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმრთველოს პროკურორი |
| | საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხვედველობის სამართველოს ფინანსთა სამისამინისტროს აღმოსავლეთ ტერიტორიულ ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი |
| | საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს ფინანსთა სამინისტროს აღმოსავლეთ ტერიტორიულ ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი |
| | საქართველოს გენერალური პროკურატორის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი |
| | საქართველოს გენერალური პროკურატორის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს საოლქო სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი |
| 2002 | ზესტაფონის რაიონული პროკურატურის გამომძიებელი |

**დამატებითი ტრეინინგები (კურსები), საკვალიფიკაციო გამოცდები**

| | |
|---|---|
| 25/01/2003 | პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა |
| 2004 წლის აგვისტო | აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სემინარი - |

| | |
|---|---|
| | ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და ადამიანის უფლებათა დაცვა |
| 2004 წლის ნოემბერი | აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სემინარი - საპროცესო შეთანხმება |
| 2005 წლის თებერვალი | პროკურატურის რეფორმის პროექტი, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის, ევროპის საბჭოს და ბრიტანეთის საბჭოს სემინარი |
| 2005 წლის ივნისი | აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სემინარი - დაკითხვის სტრუქტურა |
| 05/11/2005 | მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით |
| 2007 წლის ივნისი–ივლისი | სს ,,საქართველოს ბანკი“, ,,ESM” თბილისი – მენეჯმენტის კურსი |
| 2015 წლის ივლისი | ექსელის კურსები |
| 2017 წელი | პროკურატურის სხვადასხვა ტრენინგი |

**უცხო ენების/კომპიუტერული პროგრამების ცოდნა**

| | |
|---|---|
| რუსული | C1 |
| ინგლისური | B2 |
| Microsoft Windows XP, MS Office XP, Microsoft Excel | მომხმარებლის დონე |

14 იანვარი 2020 წელი